პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
ოთხშაბათი, 11 ივნისი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 521 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## ენერგიულად მოჰკიდოთ ხელი საზაფხულო სამხედრო მეცადინეობას.

ახალგაზრდათა წითელ ჯარის რიგებში გაწვევა ჩინებულად ჩატარდა. მუშურ გლეხურმა ახალგაზრდობამ არა ჩვეულებრივი ხალისით და აღფრთოვანებით შეეგება საბჭოთა მთავრობის მოწოდებას და ერთსულოვნად გაეშურა წითელი ჯარში.

რამოდენიმე ხნით მიყრუებული ყაზარმები კვლავ გამოცოცხლდენ. ახალი ძალა დაბინადრდა მასში. ჩვენი ჯარის ნაწილები შევსებული ახალ წითელ არმიელთა კადრით უკვე შეუდგა საბანაკოთ გასვლას. ნაწილი უკვე გავიდა, ნაწილიც ემზადება და ამ დღეებში გავა.

ბანაკობის პერიოდი დიდი მნიშვნელობის მომენტია წითელი ჯარის ცხოვრებაში.

ამ დროს იწვრთნება და სათანადო ცოდნას ღებულობს ახალი წითელი-მოლაშქრე. აქ მთელი ჩვენი ჯარის აპარატი მოწოდებულია ახალ გაწვეულისაგან აღზარდოს უპირველეს ყოვლისა ღირსეული, ერთგული მეომარი, შეგნებული დამცველი რევოლიუციისა და მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი.

სწორედ ეხლა საბანაკოთ გასვლის წინ ჩვენ გვინდა კიდევ ერთხელ მოვაგონოთ ეს გარემოება ჩვენს ახალ წითელ-არმიელებს. წლევანდელი ზაფხული მათ უნდა გამოიყენონ მ ქსიმალურად და შეიძინონ სათანადო ცოდნა სამხედრო საქმეში, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე სამხედრო ტეხნიკა და საომარი ტაქტიკა.

თითეულ წითელ არმიელს კარგად უნდა ახსოვდეს ის დებულება, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავად არ კმარა მარტო რევოლიუციონური აღფრთოვანება, შეგნება და პოლიტიკური განვითარება; საჭიროა სამხედრო საქმის ცოდნა, ვინტოვკის წესიერად ხმარება, თანამედროვე ომის საშუალებათა და მეთოდების ცოდნა.

ყოველივე ეს გვჭირია ჩვენ, მუდამ მზად ვიყოთ მტერის შესახვედრად და ღირსეულად დავხვდეთ მათ.

ჩვენი წითელი ჯარი ძლევამოსილი იქნება მაშინ, როდესაც პოლიტიკურ განვითარებასთან, რევოლიუციონურ ენტუზიაზმთან ერთად მას ექნება ჯეროვანი სამხედრო გაწვრთნა და სამხედრო საქმის ცოდნა. მაშინ ვერავითარი იმპერიალისტური ძალა ვერ გაუმაგრდება მის ძლიერებას.

მართალია დღეს მშვიდობიანი ცხოვრების ხანას განვიცდით, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საფრთხე აღარ არის, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც კიდევ არსებობს და იარაღს ელესუნებს, სამუდამოდ შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობას.

სრულიადაც არა. ყოველ ხელსაყრელ მომენტში ის მზად იქნება ყელში გვეტაკოს.

ამ მომენტისათვის კი ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, რომ სანამ ის ჩვენ ყელში გვწვდებოდეს, მანამდი ხელები ავაცალოთ და მადა წაუხდინოთ.

ამისათვის ძლიერი უნდა ვიყოთ, სამხედრო საქმეში სათანადოთ მომზადებული უნდა ვიქნეთ.

არც ერთი წუთი ამ ზაფხულში ტყუილად არ უნდა გაცდეს. საზაფხულო სამხედრო სწავლება ღირსეულად უნდა ჩავატაროთ.

---

## საფრანგეთში ახალი მთავრობა.

### მარსალის კაბინეტის შემადგენლობა

მილიერანის მონდობილობით, რესპუბლიკანურ კავშირის წევრმა, სენატორმა მარსალმა შეადგინა ახალი მთავრობა ამ შემდგენლობით: მარსალი — პრემიერი და ფინანსთა მინისტრად; მინისტრებად: იუსტიციის — რატიე; საგარეო საქმეთა — რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ ჯგუფის წევრი — ლეფევრ ან დიუპრე, სამხედრო — მემარცხენე რესპუბლიკანელი დემოკრატი — მაჟინო, სადვაო მინისტრი — რებერტი, შინაგან საქმეთა მინისტრი — სელფი, განათლების — ლენდრი, ვაჭრობის — ფლანდრენი, საზოგადოებრივ მუშაობის — მემარცხენე რესპუბლიკანელი ლე-ტროკე — მიწად-მოქმედების — რესპუბლიკანურ სოციალურ მოქმედების წევრი — კაპიუსი.

მთავრობის შემადგენლობაში შესაძლებელია ცვლილებები.

### ორგანიზაციული ძალდატანება პარლამენტზე.

ახალ მთავრობასთან თათბირზე მილიერანმა გამოაქვეყნა თავისი მიმართვა ორივე პალატებისადმი, რომელიც მთავრობის წევრების მიერ ერთხმად იქმნა მოწონებული. გადაწყდა, რომ ახალი მთავრობა დასთანხმდება კამათის და რეზოლიუციების გახსნაზე. თუ მილიერანის მოწინაამდეგენი არ დაიწყებენ კამათს იმ შემთხვევაში მარსალი შეიტანს შეკითხვებს საერთო პოლიტიკის საკითხების შესახებ, რომ აიძულოს პარლამენტი თავის ნების ყოფის გამოსათქმელად. დამარცხების შემთხვევაში, მთავრობა გადადგება, რასაც მილიერანის გადადგომა მოყვება, რის შემდეგ სენატის თავმჯდომარე ახალ პრეზიდენტის ასარჩევად მოიწვევს ნაციონალურ ყრილობას.

### მარსალის დეკლარაცია.

მთავრობის შედგენა დასრულდება ორშაბათს, სამშაბათს კი ის წარსდგება პალატის წინაშე და გამოაქვეყნებს მილიერანის მოწოდებას, შემდეგ მარსალი გამოვა მთავრობის დეკლარაციით, სადაც ის განმარტავს, რომ მთავრობა ცდილობს გამოვიდეს შუამავლად იმ მიზნით, რომ მან მიიღოს პალატისაგან გადაწყვეტილება პრეზიდენტის საკითხის ხმის მიღებით გადაწყვეტის შესახებ.

### მარსალის მთავრობა.

პარიზიდან უკანასკნელად მოსული ცნობების თანახმად მარსალის მთავრობის შემადგენლობა შემდეგნაირად გამოირკვა: რატიე — იუსტიციის მინისტრი, ლეფევრი — გარეშე საქმეთა, დე-სელვი — შინაგან საქმეთა, მაჟინო — სამხედრო, დე-ზირე-ფორრი — საზღვაო, ფაბრი — ახალშენების, ლე-ტროკე — საზოგადოებრივ სამუშაოების, ლანდრი — სახალხო განათლების, ფლანდრენი — ვაჭრობის, ჟურდენი — შრომის, კაპიუსი — მიწად მოქმედების, მარენ — განთავისუფლებულ რაიონების, მარსალი პრემიერი და ფინანსთა მინისტრი.

### მარსალის განცხადება.

„მატენის“ თანამშრომელს მარსალმა განუცხადა: ჩვენ ავიღეთ ხელისუფლება იმიტომ, რომ ჩაუნერგოთ ყველას კანონის პატივის ცემა სამშაბათს მთავრობა არ გამოვა თავისი პროგრამით, არამედ იგი წაიკითხავს მხოლოდ პრეზიდენტის მიმართვას და დაამატებს მოკლე განმარტებას მთავრობის მიზნების შესახებ. ამის შემდეგ პალატა აზრს გამოსთქვამს პრეზიდენტის მიმართვის შესახებ.

### მილიერანი ჯიუტობს.

„მატენი“ სწერს, რომ მილიერანის ჯიუტობა აყოვნებს მდგომარეობის გამორკვევას. საქმე იმაშია, რომ მთავრობა მაინც გადადგება, მიუხედავათ კენჭის ყრისა.

### კომუნისტების წინადადება.

პარიზიდან მოსული ცნობებით კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება პალატის საპროტესტო სხდომის დანიშვნის შესახებ, მილიერანის არ გადადგომის გამო.

პენლევემ განაცხადა ასეთი წინადადების მიუღებლობაზე.

### ახალი მთავრობის სხდომა.

ახალი მთავრობის სხდომაზე თავმჯდომარეობდა მილიერანი სხდომა გაგრძელდა 2 საათს. მილიერანმა წაიკითხა თავისი მიმართვა.

## მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომები.

### მოხსენებები საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ.

7 ივნისის მე 2 ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე გამოვიდნენ მოხსენებებით რუსეთის მენშევიკების და ესერების წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. სამხრეთ-სლავიის წარმომადგენელმა ტოპოლოვიჩმა განაცხადა, რომ ბოლშევიკებმა აღმოსავლეთში და სამხრეთ ევროპაში მუშათა მოძრაობა გახადეს საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ, ეხლა კი ისინი ცდილობენ ხელთ იგდონ გლეხთა მოძრაობა.

მენშევიკ აბრამოვიჩმა გააცნო ინტერნაციონალს მის პასუხისმგებლობის შესახებ რუსეთის სოციალისტების მიმართ.

უფრო შემთანხმებელ პოზიციის სასარგებლოთ კომუნისტების მიმართ განაცხადა ინგლისის დელეგატმა კრამპმა.

## რეზოლიუციების გამოქვეყნება.

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა გამოაქვეყნა ცნობები მათი თათბირის რეზოლიუციების შესახებ.

### ორ მხრივი რეზოლიუცია.

თათბირმა მოისმინა რუსი და ქართველი დელეგატების მოხსენება ს.ს.რ.კ. მდგომარეობის შესახებ და დაამტკიცა ლიუქსემბურგის კონგრესის გადაწყვეტილება ს.ს.რ.კ. დეიურეთ ცნობის შესახებ, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ რუსეთის სოციალისტების და ქართველი მენშევიკების დაცვის შესახებ.

### ვერავის ვერ შეაშინებენ.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ მოხდა ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანების აღმასკომის და მეორე ინტერნაც. პრეზიდიუმის თათბირი. გადასწყვიტეს მოაწყონ დემონსტრაციები ომიანობის წინააღმდეგ, გადაწყდა აგრეთვე მოაწყონ 1-ლი დიდი დემონსტრაცია ჟორესის სიკვდილის წლის თავზე და მეორე დემონსტრაცია მოაწყოს მეორე ინტერნაციონალის 60 წლის თავზე.

### „აქტიურობაც“ ამასა ჰქვიან.

8 საათის სამუშაო დღის შესახებ თათბირი ღებულობს რეზოლიუციას, სადაც ნათქვამია, რომ საერთაშორისო აზრს უნდა ეწოდებოდეს ინფორმაცია. კაპიტალისტების მიერ 8 საათის სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ საზოგადოთ და კერძოთ რურში, აღნიშნულია აგრეთვე რომ მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა უნდა მოითხოვონ ვაშინგტონის კონვენციის რატიფიკაცია.

### შემდეგი კონგრესი.

მეორე ინტერნაციონალის შემდეგი კონგრესი მოწვეულ იქნება 1925 წელს საფრანგეთში.

### საუბარი იტალიის დელეგაციის თავმჯდომარესთან.

იტალიის დელეგაციის თავმჯდომარემ მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე, დარაგონამ განაცხადა როსტას თანამშრომელთან საუბარში, რომ საბჭოთა პროფკავშირები მიღებულ იქნებიან ამსტერდამის გაერთიანებაში, თუ მიიღებენ ამსტერდამის გაერთიანების წესდებასო.

---

## საბჭოთა ფედერაცია.

### ამერიკის კომპარტიის მისალმება.

ამერიკის კომპარტიამ „უორკერს პარტი“-მ მიმართა რ.კ.პ. ცეკას მისალმებით, სადაც ნათქვამია: „თქვენი დიადი მიღწევები სოციალისტური რევოლიუციის გზაზე ჩვენ იმედს გვმატებს და გზას გვინათებს. ამ გამარჯვებამდე თქვენ მიგიყვანთ ლენინის ძველმა ბოლშევიკურმა გვარდიამ. იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც თქვენ უხელმძღვანელებთ ჩვენ მუშაობას.“

### კერძო რადიო-სადგურები.

სახელმწიფო გეგმის კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი კერძო რადიო სადგურების დაარსების შესახებ. კერძო რადიო სადგურებს უფლება მიეცემათ გადასცენ ფართო ხასიათის საინფორმაციო ცნობები, სიტყვები, კონცერტები, მოხსენებები, დროს ჩვენება და სხვა.

### კერძო ვაჭრების ხრიკები.

აღმოჩენილ იქნა კერძო ვაჭრების ბოროტმოქმედება თამბაქოს ფაბრიკატების აქციზისა და ყალბ სახაზინო მარკების დამზადებაში. დააპატიმრეს გამოჩენილი ვაჭრები რიცხვით 60 კაცი.

# პროვოკატორის გაქცევა.

პროვოკატორი ოზოლი, რომელსაც დახვრეტა ჰქონდა გადაწყვეტილი, გაიქცა ციხიდან, მაგრამ იგი მსწრაფლ იქნა დაპატიმრებული მაძებარი ძაღლის საშუალებით.

**მიწის ძვრა ტაშკენტში.**

ტაშკენტში მოხდა მეორე, უფრო ძლიერი მიწის ძვრა რომლის შედეგათაც სახლების კედლები დასკდა. მსხვერპლი არ ყოფილა.

# საბჭოთა მთავრობა სწყვეტს დისკუსიას.

საგარეო საქმეთა კომისარიატის საპასუხო ნოტაში ნათქვამია:

პოლონეთის მთავრობას არსებითი პასუხი გაეცა 10 მაისის ნოტაზე, აიძულებს საბჭოთა მთავრობას აღნიშნული მოქმედება განიხილოს, როგორც რიგის ხელშეკრულების მე-7 სტ. დარღვევა. რის წინააღმდეგ ის კატეგორიულ პროტესტს აცხადებს. ამავე დროს, მიიღო რა მხედველობაში, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ აღნიშნული ფაქტები, პოლონეთში ნაც—უმცირესობათა შევიწროების შესახებ საერთოდ ყველასათვის უკვე ცნობილია და ნახეს რა გამოძახილი მთელ რიგ საერთაშორისო გამოსვლებში, და რომ ეს საკითხი საკმაოდ გამორკვეულია, საბჭოთა მთავრობა ამ საკითხზე დისკუსიას სთვლის ზედმეტად.

# ლიტვა

პენევეჟსკის ციხეში უკვე მეათე დღეა, რაც შიმშილი გამოაცხადეს პოლიტიკურმა პატიმრებმა, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან 1-ლი მაისის დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებისათვის.

**მუშების დათხოვნა,**

ბუდაპესტში (უნგრეთი) დაითხოვეს 2.000 მუშა—მქსოვი სამუშაო ხელფასის ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტის გამო.

# ამერიკა-იაპონიის კონფლიქტი

## ამერიკული ფილმების ბოიკოტი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ტოკიოს ყველა კინემატოგრაფების პატრონებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ამერიკულ ფილმებს. მათ მოწოდება გამოუშვეს ასეთივე ბოიკოტი გამოეცხადოს ამერიკულ ფილმებს მთელ იაპონიაში.

**პატრიოტების საფლავებზე.**

აოზამას სასაფლაოზე გაიმართა მოსაგონარი მღვდელთ-მსახურება იმ იაპონელების მოსაგონრათ, რომლებმაც ნიშნათ ამერიკელების საიმიგრაციო კანონების პროტესტისა ხარაკირი (თავის მოკვლა) გაიკეთეს.

# პოლონეთი და საბჭოთა კავშირი

## პოლონელ მელას კუდის ქნევა

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. ჩიჩერინის 23 მაისის ნოტის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს პოლონეთში ამხ. დებოლეცკის გადასცა ნოტა სადაც ნათქვამია: „პოლონეთის მთავრობა კატეგორიულად აფრთხილებს საბჭოთა მთავრობის მიერ იმ განცხადების უსწოროდ გაგების წინააღმდეგ, რომელიც მოთავსებული იყო 15 მაისის ნოტაში, აგრეთვე რიგის ხელშეკრულების მე 7-დე სტატიის, რომელიც, ორივე მხარეებიდან ცნობაც ნაც-უმცირესობათა, თავისუფლებათა უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შინა კანონმდებლობისაგან.

პოლონეთის მთავრობა სრული სიმტკიცით ხელახლა აცხადებს „რომ ყველა დადგენილებები რიგის ხელშეკრულების“ ორივე მხარეების მიერ უნდა იქნან შესრულებული ლოიალურად. ის უარყოფს განუხილველად ყოველგვარ დაუსაბუთებულ პრეტენზიებს, მიმართულს სხვა მიზნებისაკენ და, რიგის ხელშეკრულების დედა აზრის წინააღმდეგ მიმართული.

# გერმანიაში

## ბავარიაში.

ბავარიის ლანტაგში კომფრაქციამ შეიტანა წინადადება ბავარიაში განსაკუთრებული მდგომარეობის მოხსნის შესახებ.

**კომუნისტური გაზეთის დახურვა.**

აღმოსავლეთ პრუსიის კომპარტიის ორგანო „ეხოდეს ოსტენ“ დახურეს ოთხი თვით.

**გაფიცვა ლუდის ქარხნებში.**

ლუდის ქარხნებში მომუშავენი განაგრძობენ გაფიცვას.

მუშაობას აწარმოებენ შტრეიკბეხერების საშუალებით.

**ლოკაუტი საქსონიაში.**

ხის მრეწველებმა ლოკაუტის გამო დაითხოვეს მთელ საქსონიაში 16.000 კაცი.

**რურის ქარხნებში.**

რადგანაც რურის სამთო-მადნო მრეწველობაში კონფლიქტი დასრულდა, ამიტომ ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებში მუშაობა განახლდა.

# გაფიცვა ლონდონში

## მუშაობას დაუბრუნდნენ.

დღეს გაფიცულთა უმრავლესობა დაუბრუნდა სამუშაოს. რკ. გზის ორ ხაზზე უკვე აღადგინეს მუშაობა.

# რადიო ყოველ მხრიდან

## სპარსეთის ქალის პირველად დაჯილდოება.

სახალხო განათლების ასპარეზზე თავდადებული მუშაობისათვის პირველად დაჯილდოებული იქნა სპარსელი მასწავლებელი ქალი ფატმან ხანუმი.

**მუშათა გაზეთი ესტონეთში.**

რეველში გამოვიდა ახალი მუშათა გაზეთი „სინა“.

**იაპონიაში.**

პრინცმა რეგენტმა წინადადება მისცა კენსეკაის პარტიის ლიდერს კატოს, შეადგინოს მთავრობა.

**ჩეხო-სლოვაკიაში.**

ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა ოკრატოცისმა განაცხადა პარტიულ კრებაზე, რომ თუ ეროვნული კოალიცია ჩაიშალა და საჭირო გახდა გერმანელების მოწვევა მთავრობაში, უსათუოდ ჩეხო-სლოვაკიაშიაც დადგება ფაშიზმის ეპოქაო.

**ბელორუსია მთლიანი ერთეულია.**

ბელორუსიის ეროვნული მთავრობის ხელის მოწერით პენლევეს, ერიოს და ფრანგული გაზეთების სახელზე გაიგზავნა დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ პოლონეთმა მოახდინა ბელორუსიის ნაწილის ოკუპაცია სადაც ხალხი განიცდის საშინელ ჩაგვრას. ამიტომ საჭიროა რიგის ხელშეკრულების გადაშინჯვა და ჩვენი დაქუცმაცებული სამშობლოს გაერთიანებაო.

# სხვა და სხვა

## ოსმალეთის ფლოტი იზმიდაში.

პარიზიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ფლოტი თავს იყრის იზმიდის უბეში.

## ალბანეთის აჯანყება.

**მთავრობა გაიქცა.**

რომის გაზეთებში ცნობაა, რომ აჯანყებულებმა დაიკავეს ალესი და მთავრობა გაიქცა ტირანიდან.

**მინისტრები დაიჭირეს**

ბელგრადიდან იტყობინებიან: ალბანეთის ინსურგენტებმა დაიჭირეს ფინანსთა და განათლების მინისტრები და გამოაცხადეს ისინი მძევლებათ.

## ალბანეთის პრესის ბიუროს ცნობა.

ალბანეთის პრესბიურო იტყობინება რომ ტირანში არ შემდგარა ახალი მთავრობა და იქ ახლა მეფობს სრული მშვიდობიანობა.

**ზეიპელი ცუდათაა.**

ვენიდან იტყობინებიან, რომ ზეიპელის ჯანმრთელობა თან და თან უარესდება. სიცხემ მოუმატა და მაჯის ცემა შეუსუსტდა.

## საერთაშორისო სესხი უნგრეთს.

დასრულდა საერთაშორისო თათბირი უნგრეთისათვის სესხის მიცემის შესახებ თათბირში მონაწილეობას ღებულობდა იტალია.

## მცირე ანტანტის კონფერენცია.

რუმინეთის კაპიტალისტური პრესა იუწყება, რომ მცირე ანტანტის კონფერენცია გაიხსნება ჟენევაში კი არა პრაგაში 10 ივნისს ბრატიანუს და პაშიჩის მონაწილეობით.

**საბერძნეთს იცნობენ.**

მოელიან, რომ მცირე ანტანტის კონფერენციაზე იცნობს რუმინეთი ანტანტას.

**რუმინეთი და პოლონეთი.**

რუმინეთის ნაციონალური კავშირის ბელადი კორგა, გაემგზავრა ვარშავაში, ლვოვში და კრაკოვში, სადაც იგი გამოვა მოხსენებებით პოლონეთ-რუმინეთის კავშირის აუცილებლობის დასაცავათ.




# მოდიან სიმღერით და აღფრთოვანებით

(სურათი)

უუუუი,—გაისმა მატარებლის ხმა, რომლის გაგონებაზე 1-ლი ლეგიონის უფ-პოლიტ შემადგენლობა „გამოვედით სადგურის წინ და სიხარულით მოველით ბათუმის მატარებელს, რომელიც უკვე სადგურს უახლოვდება. მატარებლის უკანა ვაგონის წინა საფეხურიდგან მოსჩანს წითელი დროშა და მოისმის ძველებური გურული საომარი სიმღერა „რაშო-რერა“.

მოდიან გურიის მოწინავე რევოლიუციონური მშრომელი ახალ გაზრდობა, მოეშურებიან წითელ ყაზარმებში, საქართველოს წითელი ჯარის რიგების შესავსებათ.

მატარებელიც გაჩერდა. ბიჭები ძირს ჩამოვიდნენ და მყისვე თავი მოიყარეს წითელი დროშის გარშემო. ჩვენც მიუახლოვდით... მივესალმეთ, გავეცანით ახალ ამხანაგებს, როგორც მათი მომავალი ხელმძღვანელები. საერთო სიხარული და კმაყოფილება. ყველამ თავი მოვიყარეთ სადგურის ბოლოში, მოედანზე მოველოდებით კიდევ ახალ წვეულებს ქუთაისის მატარებლით. ამ დროს გაისმა ხმა „აბა, აკაკი, ვასილავ, ესიკა, კიკიტიავ, მოსცხეთ ერთი საცეკვარი რაცხა“.

ბიჭებმაც თვალის დახამხამებაში მოსცხეს გურული საცეკვარი სიმღერა „არი რაშა“

„აბა ცხელი ტაში, ტაში“—დაიძახა ერთმა გურულმა, და დაუარა ლეკური, მთელი ხალხი აწყდება საცეკვაო რკალს და აქა იქ გაიძახიან, „ვაშა, ვაშა გურულებო, ბიჭებიც ეგეთი უნდა“.

ისეთი გამბედაობა და რევოლიუციონური სიძლიერე გამოიხატებოდა ბიჭების სახეებზე, რომ ვინ იცის რამდენი კონტრევოლიუციონერი ჩაირტყამდა გულში, ხელს, როცა დაინახავდა რომ გურიის მოწინავე ახალგაზრდობა, უარყოფს მენშევიკების ბოდალატურ მოღვაწეობას, და აღფრთოვანებით მიდის წითელ ჯარში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

როდესაც ცეკვით გული მოიჯერეს, ჩამოჯდნენ იქვე და დაიწყეს გურული სიმღერები, „ვახტანგურა“ „ხასანბეგური“ „ვადილა“, ჩვენ მშვიდობა და სხ. და სხ.

ახალ-წვეულები კი, ებაასებიან წითელ-მეთაურებს. ამ ბაასის დროს ერთ გურულს, წითელ-მეთაურთან ლაპარაკში „ბატონო“ წამოსცდა. მე უთხარი რომ წით.-ჯარში ბატონები არ არიან მეთქი. ამ დროს იქ ახლო მდგომი მოხუცი გამომეკამათა რომ „ეს ძველებური ქართველური ზრდილობა არისო, და არც უნდა დაივიწყოს ქართველმა ერმაო.“ მე დავაპირე პასუხის გაცემა, რომ ამ დროს ერთმა გურულმა სწრაფათ უპასუხა

კი მარა „ბაბუა“ თუ გლეხი თავადს ბატონს დაუძახებდა და ზრდილობა იყო, რატომ თავადი არ დაუძახებდა გლეხს ბატონოვო, თუ ისინი უზრდელები იყო? ბიჭებმა სიცილი მორთეს.

მოხუცმა დაიწერა პირჯვარი და მოშორდა იქაურობას.

არ გასულა რამოდენიმე წუთი რომ, ქუთაისიდგანაც მოვიდა მატარებელი, რომელსაც მოყვნენ იმერეთის მშრომელი ახალ გაზრდობა რიცხვით 70 კაცი.

ჩვენ სიხარულით შევეგებეთ ახალ ამხანაგებს, დავეწყვეთ ერთად და გამოვეშურეთ ჩვენ წითელი ყაზარმისკენ. გზაში შეგვეგებენ ლეგიონის თავი და სამხკომი, ამხ. ბახია, მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. ახალ წვეულებს, რომლის დამთავრების შემდეგ, ტაშის და ურას ძახილითვე მივეშურებით ყაზარმაში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ყაზარმიდგან გაისმა ძლიერი სიმღერა ლექსით: ლექსი

„ვაიმე შვილო ქოჩრებო,
ტანჯვით გამოზრდილებო,
თავისუფლებას ველირსე!
შორს დაიფერთხე ტილებო“.

გ. ხომერიკი.

# წითელი არტილერისტები მოდიან.

კვირაა. პირველი ივნისი. მსუბუქ საარტილერიო დივიზიონის ეზო მხიარულებას მოუცავს. აქა-იქ მოგროვილნი არიან უფ-პოლიტ-შემადგენლობა და ძველი წითელ არმიელები. დღეს მოდიან ჩვენთან ისინი, ვისაც მოველოდით. დღეს უნდა მოვიდნენ პირველი რიგი ახალწვეულებისა. ყველანი და ყველაფერი მხიარულებს მათ მოლოდინში

## ჩვენი შეხვედრა.

მოდიან! გაისმის წით. არმიელის ხმა.

ყველას ყურადღება მიიპყრო ჩვენს ეზოში შემომავალ 30 ახალწვეულებმა. მათი მხიარული მოღიმარი სახე უკვე ამტკიცებდა, რომ მათ იციან თუ რა ნაირი ცხოვრებაა ჩვენთან, თუ რა უნდა დაუხვდეთ მათ. და სხვა.

აირივნენ ძველი და ახლები, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებას. ძველები ყაზარმის შთაბეჭდილებას და ახლები კი მოუთხრობდნენ თავიანთ გულის ძგერას, ყაზარმის დანახვაზე. მათ, უმრავლესობას უკვე სცოდნია თუ როგორია ჩვენი ყაზარმა, როგორ ია აქ ცხოვრება, როგორ ვმუშაობთ ჩვენ. მათთვის უკვე გაუზიარებიათ თავიანთი შთაბეჭდილებანი პირველ რიგში უვადო შვებულებაში წასულ წ. მხედრებს.

## ახლებთან მეცადინეობას უკვე შეუდექით.

პირველი რიგი დროებით მოთავსებულ იქნა საკარანტინო შენობაში.

მათ დაურიგდათ სხვა და სხვა გაზეთები. გაიმართა საუბრები, და ხმა მაღალი კითხვები მათთვის, ვინც წერა-კითხვა არ იცის.

მეორე და მესამე დღეს კიდევ მოვიდნენ მეორე და მესამე რიგი ახალწვეულებისა.

## კულტურულ ფრონტზე.

5 ივნისს გამართულ იქნა წითელ არმიელთა ძალებით წარმოდგენა. საღამოს ესწრება ადგილობრივი მცხოვრებლები დაესწრო. როგორც ძველი წით. არმიელები ისე ახალწვეულებიც.

ეს საღამო იყო უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთათვის უკანასკნელი და მათივე ძალებით მოწყობილი.

იწყება საღამო. ფარდა აიხადა. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამავე დივიზიონის სამხკომს ამხ. დემეტრაშვილს, რომელიც ეხება წითელ არმიაში მუშაობის მნიშვნელობას თვით წითელ არმიის დანიშნულებას და უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა მუშაობას სოფლად.

მოხსენება გასაგები იყო ყველასათვის და ახალწვეულებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

მოხსენების შემდეგ გამართულ იქნა საღამო-წარმოდგენა. საღამო ძალიან შინაარსიანი იყო. მოთამაშეებიც მომზადებული იყვნენ ამ უკანასკნელ წარმოდგენისათვის, რომლის შემდეგ მათ უხდებოდათ უვადო შვებულებაში წასვლა. საღამოს შემდეგ ახალწვეულები დიდათ ნასიამოვნები დაიშალნენ.

## ახალწვეულებ შორის ცოტაა წერა-კითხვის უცოდინარი.

6 ივნისს მოხდა ჩვენთან ახალწვეულთა გამოცდა, რომელმაც დაამტკიცა, რომ შედარებით შარშანდელებთან, წერა-კითხვის უცოდინარნი ნაკლებად არიან. იმ დღესვე გამართულ იქნა უკვე მოსულ ახალწვეულთათვის პირველი პოლიტ-საათი. პოლიტ-საათმა დაამტკიცა, რომ ახალწვეულები ცოტათ თუ ბევრათ განვითარებული არიან პოლიტიკურად და კულტურულად.

## ძველი წითელ არმიელების გაცილება.

დღეს ისევ ისე მხიარულია ჩვენი ყაზარმა, რადგან დღეს ჩვენ ვაცილებთ ძველ წითელ მოლაშქრეთ, რომელთაც შესაფერისად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე. მათ მოიხადეს თავიანთი ვალი, იმათ დაიმსახურეს უკვე სახელი წითელი მხედრისა, დღეს ისინი მიდიან, ისინი მოწყენილნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიანაც უნდოდათ სახლში წასვლა მაგრამ დღეს იმათ ყურები ჩამოუშვეს. შორდებიან ისინი თავიანთ ბატარეიას, ქვემეხებს, უფშემადგენლობას, ცხენებს, ყველაფერს, რომელთა გვერდზე მათ უხდებოდათ ყოფნა თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს.

## გაუმარჯოს უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების სოფლად მუშაობას.

სამი საათია. დივიზიონის მთელი შემადგენლობა ჩამომჯდარია დივიზიონის უკან, მინდორზე. აქვე დგას მაგიდა, რომელზედაც აწყვია სხვა და სხვა პოლიტიკურ-ლიტერატურულ შინაარსის წიგნები. ეს უნდა დაურიგდეთ უვადო შვებულებაში მიმავალ წით. მოლაშქრეთ.

მიტინგს ხსნის დივიზიონის სამხკომი ამხ. დემეტრაშვილი. სიტყვა ეძლევა ამხ. როსნაძეს, რომელიც უსურვებს უვადო შვებულებაში მიმავალთ ენერგიულ მუშაობას სოფლად სამეურნეო და სხვა და სხვა დარგში. ამხ. დემეტრაშვილიც ესალმება ახალწვეულებს.

ილაპარაკა აგრეთვე ამხ. გაბუნიამ კლუბის, სამკითხველოს, წითელი კუთხის, ხმა მაღალი კითხვის და სხვა წრეებში მუშაობის მნიშვნელობაზე, ამის შემდეგ დარიგებულ იქნა უვადო შვებულებაში მიმავალთათვის წიგნები. რის შემდეგ მიტინგი დაიხურა.

## ახალწვეულები კარგად გრძნობენ თავიანთ მოვალეობას.

ახალწვეულთ საკმარისათ ესმით, თუ რისთვის არიან მოწვეულნი. ისინი შეეგუენ წით. ყაზარმას. მოსწონთ ყველაფერი. ახალწვეულთ ეტყობათ რომ, ისინი ღირსეულად ატარებენ წით. მხედრის სახელს.

მათ ეტყობათ, რომ შეიგნეს, წითელ ყაზარმაში განვითარების შესაძლებლობა.

გაუმარჯოთ იმ ახალწვეულთ, რომლებიც მედგრად, გაბედულად და შეგნებულად დგებიან მსოფლიო მუშათა და გლეხთა საერთაშორისო თავისუფლების სადარაჯოზე!

თო—ვა.

---

# ცხენოსნების კლუბი

კოპწია ლამაზი დარბაზი, მორთული ბელადების სურათებით, პლაკატებით სხვა და სხვა წარწერებით. ცხენოსან ლეგიონის კლუბი სავსებით სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. სისტემატიური წარმოდგენები, ენერგიული თანამშრომლები და შესაფერისი მოწყობილობა კლუბის დარბაზისა მტკიცე ენტუზიაზმს ბადებს კვირაობით დაღლილ და დაქანცულ წითელ მხედრობის გულში. ჩვენმა კლუბმა არამც თუ შეაყვარა თავი მარტო თავისუფლების დარაჯებს, არამედ მან მიიზიდა და მიიპყრო ყურადღება კერძო მოქალაქეებისაც, რომლებიც შაბათს გათენებას დიდის სიხარულით ელოდებიან

სამწუხაროდ, პატარა დარბაზი ვერ იტევს ყველას. იყო სურვილი ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, მარა ეს მხოლოდ სურვილად დარჩა, რადგან გამოძახილი ვერ ჰპოვა. ისევ პატარა დარბაზში გვიხდება მუშაობა არც ჩვენმა მამობილებმა იზრუნეს ამისათვის, თუმცა მათთვის ხშირად მიგვიმართავს. მაგრამ ამავე ლეგიონის თანამშრომლებმა მაინც გამონახეს ისეთი სახსარი, რომ შესაძლებელ ყვეს მუშაობის გაგრძელება.

სათანადო მომზადებით ჩვენი წითელი მხედრობა ხელი-ხელ ჩაკიდებული მართავს ყოველ შაბათობით საღამოებს.

ნუ დაგვივიწყებთ, ჩვენო ერთგულნო მამობილებო, დრო გამოშვებით ჩვენსკენაც გადმოიხედეთ.

ცხომელიძე.

---

# პარტიული ცხოვრება.

## კომუჯრედი ფუფუნების წინააღმდეგ.

6 ივნისს შესდგა სამხედრო პოლიტიკური სკოლის კომუჯრედის მორიგი კრება, რომელსაც ყველა კომ-უჯრედის წევრები დაესწრო. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები. 1) წინა კრების ოქმის დამტკიცება, 2) ივნისის თვის მუშაობის გეგმის დამტკიცება 3) პარტ-აღმშენებლობის შესახებ, და მიმდინარე კითხვებში სკოლის უფროსის ამხ. ჯვარშეიშვილის ავადმყოფობის შესახებ. წინა კრების ოქმი, წაკითხვის შემდეგ, იქმნა დამტკიცებული ერთხმად ივნისის თვის მუშაობის გეგმა მიღებული იქმნა, 3) პარტ-აღმშენებლობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბოლათურია, რომელმაც აღნიშნა ჩვენი დღევანდელი და წასული მუშაობა, მომხსენებელი მოუწოდებს კრებას რათა უმთავრესი ყურადღება მიაქციონ პარტ-ამშენებლობას გააძლიერონ ბრძოლა ფუფუნების წინააღმდეგ, ებრძოლონ ყოველივე წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების იდეოლოგიურ გავლენას და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ბიუროკრატიულ ჩვეულებებს და იმ ელემენტებიდან, რომლებიც შემოპარული არიან ჩვენს პარტიაში და ხელს გვიშლიან პარტ-აღმშენებლობაში გაწმენდილი უნდა იქმნეს ჩვენი რიგები. მოხსენების დასრულებისას გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება დამაკმაყოფილებლად სცნობს ამხ. ბოლათურიას მოხსენებას. მიმდინარე საკითხებში კურსანტი ამხ. ლომია აღნიშნავს ამხ. სკოლის უფროსის ავადმყოფობას, რასაც უნდა სათანადო ყურადღება მიექცეს. ამის შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო ეს განცხადება და ადგენს, ვინაიდან ამხ. ჯვარშეიშვილი ავად არის და დროებით მას უძნელდება თავის მოვალეობის ასრულება, ამიტომ ეთხოვოს პოლიტ-განყოფილების უფროსს, რათა ამხ. ჯვარშეიშვილი იქმნეს გაგზავნილი საავარაკოთ აბასთუმანში, რომ დაჩქარებით აღმოეჩინოს დახმარება.

სამხკორი: ლექავა.

---

# ქართ. დივიზიის სამხედ. ტრიბუნალში

## მცირე დამატება ქ. გელოვანის საქმეს.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ გელოვანის საქმის ანგარიშის დასამატებლად და შესასწორებლად ვათავსებთ სასამართლოს დასკვნას მთლიანათ.

ტრიბუნალმა დაასკვნა: 1) ბრალდებულმა გელოვანმა, იმ დროს, როდესაც ის იყო მეკუჭნავეს თანამდებობაზედ გამოიჩინა სამსახურისადმი დაუდევრობა და გულგრილობა და რაც შეეხება წაყენებულ ბრალდებას მითვისების შესახებ—ეს დამტკიცებულათ არ შეიძლება ჩაითვალოს.

ამისათვის, ბრალდება წაყენებული და გათვალისწინებული ს. ს. კ. 116 მუხ. პირველი ნაწ. იქნეს მოხსნილი და ნაცვლად წაეყენოს ბრალდებულ გელოვანს ბრალდება ს. ს. კ. 111 მუხ. გულგრილობისათვის, რაც ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულად.

2) ბრალდებულმა გელოვანმა მიითვისა მასზედ დროებით სახმარებლად მიცემული საწოლის მოწყობილობა, სახელდობრ: ერთი ზეწარი, ერთი ლეიბის პირი და ერთი ზედა და ქვედა ბალიშის პირი, ანუ ბოროტმოქმედება გათვალისწინებული ს. ს. კ. 213 მუხ. პირველი ნაწ. ძალით, რაც ტრიბუნალმა დამტკიცებულათ სცნო, მაგრამ, ვინაიდან მასზედ ვრცელდება ა. კ. ც. აღმ. კომ. 1924 წლის 30 აპრილის ამნისტია, ბრალდება 213 მუხ. პირველი ნაწილი იქნეს მოსპობილი ამნისტიასთან შეფარდებით.

რაც შეეხება გულგრილობას, რომლის სასჯელიც გათვალისწინებულია ს. ს კ. 111 მუხ. და განისაზღვრება 108 მუხ. პირვ. ნაწილით, სასამართლომ დაადგინა: მიესაჯოს ბრალდებულ გელოვანს თავისუფლების აღკვეთა გამასწ. სახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით, წინასწარ დაპატიმრების დროს ჩათვლით.

---

# ახალი ამბები.

— **ს მხედრო უწყების ხარჯები.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა სამხედრო დაწესებულებებს მიაწოდოს უფასოდ მხოლოდ წყალი და ელექტრონის სინათლე. დანარჩენი ხარჯები კი თავს უნდა იდვას თვით სამხედრო უწყებამ.

— **საზაფხულო ბინები ჯარისათვის** გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ქალ. სურამში გაანთავისუფლოს ჯარის ნაწილების საჭიროებისათვის, გარდა ნაციონალიზაცია ქმნილ სახლებისა კიდევ 150 ოთახი.

— **მალარიის წინაამდეგ.** ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო წითელი ჯვრიდან 100 კილო ქინაქინა, რომელიც განაწილებული იქნება მაზრებში ღარიბეს მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

— **ექიმების გაგზავნა პროვინციაში.** ჯანმრთელობის კომისარიატი ამჟამად ადგენს ექიმების ჯგუფებს, რომლებიც გაიგზავნებიან პროვინციის ცენტრებში, ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

— **ელექტრო სადგური ჩხარში.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გადასდო ჩხარის ელექტრონული სადგურის საჭიროებისათვის 1.500 მან.

— **ინსტრუქტორებ ს თათბირი.** 25 ივნისისათვის განზრახულია მოწვეულ იქნას თფილისში ყველა ცენტრალურ დაწესებულებათა ინსტრუქტორების თათბირი.

— **პარტახტიანი ტიფი ლეჩხუმში.** ლეჩხუმის მაზრაში გავრცელებული პარტახტიანი ტიფი, იქ გაგზავნილ საექიმო რაზმის მიერ მიღებული ენერგიული ზომების წყალობით, შეიძლება ჩაითვალოს მოსპობილათ.

— **საბინაო კოოპერაცია.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს ბინის საკითხების მოსაწესრიგებლათ, კომისია პროფესიონალურ კავშირების და სამეურნეო დაწესებულებების წარმომადგენლთაგან.

**ფასების მოწესრიგება აგარაკზე.** 12 ივნისს შესდგება ფასების მომწესრიგებელ კომისიის სხდომა ქ. აღმასკომთან, რომელიც გაარჩევს კოჯორში და მანგლისში ფასების მოწესრიგების საკითხს.

— **კლდეზე მუშაობა ზემო ავჭალაში.** ზამთრის განმავლობაში ზემო ავჭალაში გაჭრილ იქნა კლდიანი ნიადაგი 6.000 კუბი საჟენის რაოდენობით.

— **ახალი გამომცემლობა.** ა. კ. შრომის სახ. კომისარიატთან დაარსდა გამომცემლობა, რომლის მიზანიც არი წიგნებისა და ბროშიურების გამოცემა შრომის საკითხების გასაშუქებლათ.

— **ჯებირის აშენება.** ქალ. აღმასკომის პლენუმმა დაამტკიცა ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა გერმანულ ფირმასთან ზემო ავჭალაში მტკვარზე ჯებირის აშენების შესახებ.

---

# შეცდომის გასწორება

კვირის, №519-ში მოთავსებული წერილში სათაურით „როგორ მიმდინარეობს მობილიზაცია ადგილებზე“, მე-13-ე სტრიქონში შეცდომით სწერია: ერთ წლის განმავლობაში მესამედ ვახდენთ მობილიზაციას,—უნდა იყოს:

გასაბჭოების დღეებიდან მესამედ ვახდენთ მობილიზაციას.

# სასოფლო მეურნეობა.

**როგორი წყალი ვარგა ბაღ-ბოსტნის მოსარწყავათ.**

ურწყავ გვალვიან ადგილებს მორწყვა ესაჭიროება, მაგრამ ყოველგვარ წყალს ერთნაირი სარგებლობა არ მოაქვს მცენარისათვის. ამიტომ მოსარწყავათ ხმარების წინ უნდა შევისწავლოთ წყლის შემადგენლობა და თვისებები.

წყალში არ უნდა იყოს მცენარეებისათვის მავნე ნივთიერებანი. მოსარწყავათ არ ვარგა არც ძლიან შემთბარი და არც ძლიერ გაციებული წყალი. შიგ უნდა იყოს გახსნილი მჟავბადი. მჟავბადი ძლიერ საჭიროა მცენარეთა ფესვებისათვის, რადგან ის ნიადაგის ღრმა ფენებში ცოტა არის. ამ დანაკლისის შევსება კი წყალს შეუძლიან.

ამიტომ უნდა ვეცადოთ ისეთი წყალი ვიხმაროთ, სადაც საკმაო მჟავბადი მოიპოვება. ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს წვიმის წყალს, ის სუფთაა და მჟავბადიც საკმაო აქვს. არა უშავს აგრეთვე მდინარის წყალსაც. ყველაზე უფრო ფრთხილათ ჭების წყალი უნდა ვიხმაროთ. ჭის წყალში ხშირათ არის ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც მას სიმლაშეს აძლევს. მლაშე წყალი კი მცენარის ნორჩ ფესვებს ძლიერ აზიანებს. მლაშეა თუ არა წყალი ადვილი გასაგებია. მლაშე წყალი ჩვეულებრივ საპონს არ ჰქაფავს, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ შიგ არის გახსნილი კირი და სხვა მარილები.

როცა ამ რიგათ წყლის ღირსება შევაფასეთ და გადავწყვიტეთ მისი ხმარება, საჭიროა გამოვარკვიოთ რა დროს უნდა მორწყვა. **შეიძლება თუ არა ბაღ-ბოსტნის მზიან დარში მორწყვა.**

არ შეიძლება, რადგან წყლის უმეტესი ნაწილი ჩქარა ორთქლდება და რაც დარჩება ის ისე ჩქარა გათბება, რომ სარგებლობის მაგივრათ ზიანს მოგვიტანს—დასწვავს მცენარის ნორჩ ნაწილებს.

მორწყვა ისეთ დროს უნდა, როცა მცენარე წყალს შეირგებს. ასეთი დროა საღამო. საღამოს წყალი ნიადაგში ჩადის, ეკვრის ფესვებს და მათ კვებავს. შეიძლება აგრეთვე ადრე დილით მორწყვაც.

**მეურნე.**

# წითელ არმიელს საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

**ციმბირის წყლულით დაავადმყოფებულ ცხოველის წამლობა.**

სადაც „ციმბირის წყლული" გაჩნდება, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს დახოცილ საქონლის ლეშის დაწვას (სადაც ეს შესაძლებელია), ან მის დამარხვას, ღრმად ამოთხრილ საფლავში—უეჭველად სოფლის, გზების და საძოვრების მოშორებით; იმ ადგილს, სადაც ლეში ეგდო, უეჭველად დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს, დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს უეჭველად იმ ადგილსაც, სადაც მკვდარი ცხოველი სიცოცხლის დროს იდგა. სადეზინფექციო მასალად ხმარობენ უმთავრესად „სულემას", ხმარობენ აგრეთვე: კარბოლის სიმჟავეს, კრეოლინს, ლიზოლს და სხვა. აღნიშნული საშუალებანი ეკუთვნიან ეგრედწოდებულ „პროფილაქტიკას" (ავადმყოფობის წარმომშობელ მიზეზის მატარებელის თავიდან მოშორება). ჭაობიანი ადგილები და საერთოთ ნოტიო ნიადაგი, რომელნიც უკვე მოწამლული არიან „ციმბირის წყლულით", საძოვრად არ უნდა იხმარებოდნენ, სანამდისინ იგინი განთავისუფლებული არ იქნებიან, აღნიშნული სენის—ბაცილებისაგან-ეს კი შეიძლება ჭაობიანი და ნოტიო ადგილების ამოშრობით, უკანასკნელის საშუალება კი არის არხების გაყვანა.

არის ფარმაკოლოგიური წამლობაც, მაგრამ ასეთ წამლობას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ნამეტურად შინაგან გზით შესეულ „ციმბირის წყლულით" გამოწვეულ ავადმყოფობის დროს. გარეგანი ყალიბის „ციმბირის წყლული"—კარბუნკული წამლობას ემორჩილება; დასიებული ალაგი უნდა ამოიჭრას, ან ღრმად ამოიწვას და შემდეგ ეს ადგილი იწამლოს, როგორც ღია იარა. ამ უკანასკნელ დროს სავეტერინარო მეცნიერებამ გამოიგონა ისეთი საშუალება, რომელიც ყველა სხვა წამლობას სჯობია და უკვე მოიპოვა მოქალაქობრივი უფლება. ეს საშუალება გახლავთ—„აცრა" დაავადმყოფებული საქონლისა (მორჩენის მიზნით) და „აცრა" საღი საქონლისა (თავდაცვის მიზნით) რით, როგორ და როდის უნდა აიცრას საქონელი?? ამ კითხვის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა სუფევს, როგორც ვეტ-ექიმთა შორის, ისე ხალხშიაც; ამიტომ საჭიროა ამ საკითხზე ცოტა ვრცლად შევჩერდეთ და, ჩვენის პრაქტიკით მოცემული ფაქტებით, გავაშუქოთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

რა არის აცრა? აცრა არის ის ოპერაცია, როდესაც ამა თუ იმ გადამდებ ავადმყოფობის მთავარი აგენტი, სხვა და სხვა ძრიელების მქონე, შეგვყავს საღ საქონლის სხეულში იმ მიზნით, რომ იგი დაავადმყოფოთ, ეს ავადმყოფობა სუმბუქათ გადავიტანოთ და ხანგრძლივი იმუნიტეტი (დაზღვევა-მეორეთ ჭირის არ შეყრა) გამოვიწვიოთ.

აცრა არის ოპერაცია, როდესაც ავადმყოფ საქონლის სისხლიდან გაკეთებულ სითხეს ვუშხაპუნებთ დაავადმყოფებულ საქონელს—მორჩენის მიზნით, ან და ვუშხაპუნებთ საღ საქონელს ჭირის სრულებით არ შეყრის მიზნით.

აცრა არის ის ოპერაცია, როდესაც ავადმყოფობის მთავარი აგენტის ცხოველის სხეულში მისევის დროს მასთანავე ერთად ვუშხაპუნებთ სითხესაც, სატკივრის მსუბუქათ გადატანის მიზნით. ამ ახსნა-განმარტებიდან თვალნათლად სჩანს, რომ აცრას მეტად სასარგებლო მიზნები აქვს დასახული და აღწევს კიდეც მათ: ამიტომ გლეხი არ უნდა ერიდებოდეს აცრას, მაგრამ ნათქვამია: „ნადულარით დამწვარი, დოს უბერამდაო" გლეხ კაცი თავის გაჭირვებული ცხოვრებით ისეა შეშინებული და გულგატეხილი, რომ უშიშარ, როგორც დო (კარაქის შედღვების შემდეგ სადღობელში რჩება მაწვნის თეთრი და ცივი წვენი, რომელიც გემრიელ საჭმელს შეადგენს გლეხის ოჯახისათვის ამ წვენ ეძახიან „დო-ს") სასარგებლო საქმეს გარბის და მით თავის გაჭირვებულ ცხოვრებას აორკეცებს.

**ბასრი.**

(გაგრძელება შემდეგ)

---

* )იხ. „წ. ა." № 520.

# სამხედრო საქმე.

## ქიმიურ იერიშის საწინააღმდეგო ზომები.

მოწინააღმდეგის მიერ განზრახული ქიმიურ თავდასხმის წინასწარ აღმოსაჩენათ საჭიროა და დიდ სარგებლობასაც მოიტანს ჰაეროსნული ძიება და მოწინააღმდეგის მოწინავე ხაზისა და უახლოეს ზურგის ფოტოგრაფიული სურათის გადაღება. ძიება, რასაკვირველია, უნდა სპეციალისტის თანდასწრებით სწარმოებდეს.

როდესაც ამა თუ იმ ნიშნით გათვალისწინებულია, რომ მოწინააღმდეგე ქიმიურ თავდასხმას აპირებს, მაშინ საჭიროა ყოველ-გვარ ზომების მიღება, რათა მტერს შეუშალონ მის მიერ დასახულ მიზნის განხორციელება.

იმ შემთხვევაში, როცა ჰსურთ მტერს შეუშალონ ხელი აირ-ბალონიან იერიშის წარმოებას, უნდა მხედველობაში იქონიონ, რომ სავსებით მოშენებულ პოზიციის უბანზედ აირ-ბალონიან იერიშის სისრულეში მოყვანა შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებულ ატმოსფერიულ პირობებში; ამიტომ საჭიროა ყოველი ზომის ხმარება, რათა მოწინააღმდეგემ უბნის მოშენების დამთავრება ვერ მოასწროს ატმოსფერიულ ხელსაყრელ პირობების დადგომამდე და არ გამოიყენოს იგი თავის სასარგებლოთ.

ამ მიზნისათვის სასარგებლო იქნება დაეშინოს საარტილერიო, ნაღმტყორცნის და შეძლებისამებრ თოფის ცეცხლი მოწინავე ხაზის იმ უბნებს, სადაც მუშაობა სწარმოებს, ან ხალხისა და საზიდავების ჩოჩქოლი ემჩნევა და დღისით არავითარი სამზადისი—მუშაობის წარმოების შესრულება არ უნდა დაუშვან, ღამით კი ხელი შეუშალონ მათ წარმატებით შესრულებას.

არსებით დახმარებას გაუწევს ჰაეროპლანებიდან ბომბების დაშენა, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით საარტილერიო ცეცხლი ნამდვილი არ აღმოჩნდა.

ზოგჯერ, როდესაც საარტილერიო და თოფის ცეცხლის გამოყენება შეუძლებელია, მაშინ არტილერიის დახმარებით ხელსაყრელი იქნება ნაწილობრივ იერიშის ჩატარება, არა იმ მიზნით—რომ მოწინააღმდეგის პოზიცია ხელში ჩაიგდონ, არამედ მოწინააღმდეგის ნაშრომის დასანგრევ-გასანიავებლად. ეს გარემოება მტერს აიძულებს ხელახლა შეუდგეს მუშაობას და ამგვარად იგი ხელის-შემწყობ პირობებს გამოუშვებს.

ჯარის ყოველ-დღიურ ძიებას შეუძლია აღმოაჩინოს—ემზადება თუ არა მტერი ქიმიურ თავდასხმისათვის, თუ მათ დასებში იქნებიან სამხედრო-ქიმიის მცოდნე სპეციალისტები.

თუ აღმოჩენილია მოწინააღმდეგის ქიმიურ ნაღმტყორცნით სროლისათვის სამზადისი, უნდა არტილერიის ცეცხლი დაატეხონ თავზედ, უმთავრესად, ბანს ნგრებს და იმ ადგილებს, სადაც მიწის მუშაობა იყო შემჩნეული, რითაც შეიძლება ნაღმტყორცნის ქიმიურ ყუმბარების მოსპობა და მით მოწინააღმდეგეს მიეყენება ზარალი საკუთარი მომწამვლავი ნივთიერებით.

არტილერიის თუ ხარდალის აირიანი ყუმბარები აქვს, მეტად სასარგებლო იქნება მოწინააღმდეგის ქიმიურ ნაღმტყორცნთა პოზიციის მისადევარის ამ აირით მოწამვლა.

**გ. ბ—შვილი.**

# მედიცინა და ტექნიკა

**ნახშირისა და კირის მტვერი, როგორც საუკეთესო საშვალება ტუბერკულიოზის წინაალმდეგ.**

ამ უკანასკნელ ხანებში ტუბერკულიოზის წინააღმდეგ მრავალი საშვალება იქნა აღმოჩენილი. ალბად ჩქარა დადგება დრო, როდესაც ჭლექი მეტად ადვილი მოსარჩენი იქნება. ძლიერ საინტერესოა გერმან. პროფ. ხირტის გამოკვლევები, რომელიც ამტკიცებს, რომ ნახშირისა და კირის მტვერი საუკეთესო საშვალება ყოფილა ჭლექის წინააღმდეგ. ხირტს თავის დასკვნები გამოაქვს გერმანიაში—ზემო სილეზიის ნახშირის მაღაროებში მომუშავე მუშებში ჭლექის შემთხვევების განხილვისაგან. სილეზიის მუშების 100 ფილტვების ტუბერკულიოზიან ავადმყოფებიდან 11 პროც. უსუნთქავს არავითარი მტვერი, 26 პროც. უსუნთქავს ან ორგანიული მტვერი, 17 პროც.—ორგანიულის და მხოლოდ 2,3 პრ.—ყლაპავდა ნახშირის მტვერს. ზემო სილეზიის 148.000 მუშის გასინჯვის დროს აღმოჩნდა მხოლოდ 0,8 პროც. ტუბერკულიოზიანი სხვა გამოკვლევებითაც მტკიცდება, რომ 1000 კაცზე ნახშირის მომუშავეთაგან მოდის 1 ტუბერკულიოზიანი. ისიც აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ტუბერკულიოზით დაზიანებულ ფილტვის გამოჯანმრთელებული ნაწილები შემორტყმულია ნახშირის მტვერით—ამ უკანასკნელ ხანებში მოახდინეს აგრეთვე საერთოდ ჯანმრთელისა და ტუბერკულიოზიან ადამიანის ფილტვის განხილვა და აღმოჩნდა, რომ ტუბერკულიოზიან ფილტვში ჯანმრთელის ფილტვთან შედარებით ნახშირის რაოდენობის ნორმას აკლია 21 პროც. დიდ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე ნახშირის მტვერის გახსნილ კალლიდალურ მდგომარეობაში შესუნთქვით ჭლექის წინააღმდეგ.

ავადმყოფს თანდათანობით სრულიად შეუწყდა ხველა და ნახველი და ამნაირად შესამჩნევი შეიქნა საერთო გამოკეთება.

ეხლა ისიც გამოირკვა, რომ ერთობ იშვიათი შემთხვევაა კირზე მომუშავე მუშებში ტუბერკულიოზით ავადმყოფობა. ცნობილ ფისკას ცნობებით 40,894 სიკვდილით შემთხვევა გაიარა და კირზე მომუშავე მუშებში 17 იყო მხოლოდ ტუბერკულიოზით. ამერიკელ და გერმანელმა, კირზე მომუშავე მუშებმა სრულიად არ იციან ტუბერკულიოზი. რიზენფელდის გამოკვლევით ტუბერკულიოზიან ფილტვებში 25,7 პროც. ნაკლები კირი აღმოჩნდა ნორმალურზე. რიზენფელდი პირდაპირ შეუდგა კირის მნიშვნელობის გამოკვლევას ფილტვებისათვის და აქაც უდიდესი შედეგებით დაგვირგვინდა ამ მიმართულებით წარმოებული გამოკვლევანი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნაკლებად შეხვდებით ტუბერკულიოზით ავადმყოფობას გოგირდზე მომუშავე მუშებში.

**შეიხ.**

# პასუხი შეკითხვებზე.

**ამხ. ჭკადუას საყურადღებოდ.** ლენინის თხზულებათა ხელის მოწერა სწარმოებს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობაში. მუშა-მოსამსახურეთა და წითელ-არმიელთა საშუალება ეძლევა ნაწარმოების საფასური გადაიხადოს ნაწილობრივად შვიდი თვის განმავლობაში. ნაწარმოების სრული კრებული, 24 წიგნიდგან შემდგარი, ეღირება 50 მან. ხელის მოწერა მიიღება დივიზიის პოლიტ-განყოფილების საშუალებით, რომელიც პასუხისმგებელია საფასურის თავის დროზე შეტანისათვის.


## ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდა"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან"** მიძღვნილი **ვ. ი. ლენინის** ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

## გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე·